ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიხეილ გიორგაძის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო შეხვედრის ჩატარების

ოქმი N 1

საანგარიშო შეხვედრის ჩატარების დრო:

2023 წელი, 2 ნოემბერი.
15:00 საათი

ანგარიშის წარდგენის ადგილი:

ქალაქი ქუთაისის, მუსხელიშვილის მე-4 შეს. №1

შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე.**

ესწრებოდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრები, სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა სფეროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები (200-მდე მოქალაქე).

საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გია ბასილაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ამირან კოპალეიშვილი, ქალაქ ქუთასისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექა ქებულაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა **მიხეილ გიორგაძემ** საანგარიშო შეხვედრაზე, წარადგინა ანგარიში მის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **მიხეილ გიორგაძემ** ისაუბრა, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების საქმიანობისას შემუშავებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. ქალაქში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე** : „მოგეხსენებათ, რომ 2021 წლის დეკემბრის თვიდან უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა მეშვიდე მოწვევის საკრებულო, ჩემი საკრებულოს წევრად არჩევა მოხდა 2023 წლის 29 აპრილის შუალედური არჩევნების შედეგად (უფლებამოსილება კი ივნისის თვიდან დადგა) ავტოქარხნის

ამომრჩეველთა უმრვლესობამ მხარი დამიჭირა, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას თქვენსა და ჩემი გუნდის პარტია ,,ქართული ოცნებისის" წინაშე. საკრებულოს წევრობა და პარტია ,,ქართული ოცნების" გუნდისგან ნდობის გამოცხადება დიდი პატივია და როგორც ზემოთ აღვნიშნე უდიდესი პასუხისმგებლობა .

ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მე როგორც საკრებულოს წევრს მავალდებულებს წარმოგიდგინოთ ინფორმაცია ჩემი საქმიანობის შესახებ.

თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება კომისიების მიერ საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. შესაბამისად აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის, ასევე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების საქმიანობაში.

- ✓ **საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის 5 (ხუთი) სხდომა. კომისია მონაწილეობდა 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში. კომისია აქტიურადაა ჩართული როგორც კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით სხდასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე საზედამხედველო ფუნქციებიდან გამომდინარე მათ მონიტორინგში. აქვე მინდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი ფუნდამენტი ჩვენი კომისიის მუშაობისა, რომელსაც ჯერ კიდევ შარშან ჩაეყარა საფუძველი და რომელიც კულტურის განვითარების სტრატეგიას გულისხმობს, აქტუალობასა და მნიშვნელობას სძენს ყველა კულტურული ღონისძიების დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის ეფექტური მექანიზმის ამუშავების პროცესს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური მთავრობისა და აგილობრივი ხელისფულების ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილ და შესრულებულ გლობალურ პროექტებს, როგორებიცაა ოლიმპიური სტანდარტების აუზის მშენებლობა, განახლებული ქუჩები, გამზირები, სკვერები და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, სკოლის მოსწავლეების გათავისუფლება მუნიციპალური ტრანსპორტის გადასახადისაგან.

განათლების მიმართულებით, ყურადსაღებია განსაკუთრებული წარმატებების მქონე ახალგაზრდების წახალისება სტიპენდიით, 12 სტუდენტს წლის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხება 300 ლარი. ასევე აღსანიშნავია დღემდე განხორციელებული

ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა კალიგრაფიის კონკურსი; ინტელექტუალური კონკურსი, როგორც ბრეინ-რინგის, ასევე ჯეპარდის მიმართულებით. საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების 120 წარმატებული მოსწავლისთვის საზაფხულო ბანაკი სამ ნაკადად დაბა ბაკურიანში.

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდული პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ამ მიზნით, ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიყო 130 000 ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდა ათი ინიციტივა, მათ შორის: („სოციალური პლატფორმა სტარტაპერებისთვის; „საზაფხულო კინო სკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის"; „სამოქალაქო თავდაცვა და სიმულაციური სწავლება"; „ახალგაზრდები მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის"; „ციფრული კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდებში"; „გასტრონომიული ფესტივალი და ადგილობრივი მუსიკოსების საღამო"; „გააუმჯობესე შენი მომავალი"; „ახალგაზრდების ინფორმირებულობა ჩართულობის გზით"; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტების მომზადება და სერვისის პილოტირება ქუთაისის მუნიციპალიტეტში"). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 65 000 ლარით დაფინანსდა ზამთრისა და ზაფხულის ლიდერთა სკოლები, სადაც 14-29 წლამდე ასაკის 180-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

უნდა შევეხო ასევე ,,ქუთაისქალაქობა 2023" ფარგლებში გამართულ სხვადასხვა აქტივობებს, როგორიცაა საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ,,ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2023". მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრების, ფოტოხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეების და კურატორების მონაწილეობით გამართული ღონისძიებები (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა და საბერძნეთი) და ა.შ.

- ✓ **საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია**

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, ჩემი მონაწილეობით საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 2 სხდომა, სადაც განვიხილეთ შემდეგი საკითხები:

- აუტიზმის სპექტრი მქონე და ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ ბენეფიციართა ასაკი გაიზარდა 17 წლამდე;
- ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ პირთა დახმარების ბიუჯეტის ცვლილება, იგი გაიზარდა 50 000 ლარამდე.

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიამ, მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრა გავმართეთ ქალაქში არსებული პოლიკლინიკების ხელმძღვანელებთან, შემუშავდა კითხვარი ბავშვებში პირველადი იმუნოდეფიციტთან დაკავშირებით და ველოდებით სტატისტიკას თუ რამდენი მოზარდია აღრიცხული რათა მოხდეს დახმარება მათთვის საჭირო შემდგომი კვლევების დაფინანსებაში.

- ✓ **მოქალაქეებთან შეხვედრები**

გარდა საკრებულოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისა მაქვს ორგანიზებული შეხვედრები მოსახლეობასთან. ასევე ხშირია გასვლები უბნებსა და ბაღებში, სადაც შესაძლებელია მიმდინარე სამუშაოების კონტროლი, ადგილზე მოსახლეობის პრობლემების, მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსმენა. ამ სახის შეხვედრების დროს მოსახლეობა ითხოვს სხვადასხვა სახის დახმარებას და იკვეთება არაერთი პრობლემა.

2023 წელს საანგარიშო პერიოდში მიღებულია 250 მოქალაქე, ისინი მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით. მათი პრობლემის უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად, ნაწილი კი მოგვარების პროცესშია. ყოველთვის ვცდილობ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და ვეძიო გზები მოგვარებისთვის.

მოქალაქეები მოგვმართავენ ფინანსური დახმარების თაობაზე, 8 მოქალაქის მოთხოვნიდან, ხუთზე გაიცა ფინანსური დახმარება, ხოლო 3 მოქალაქეს ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა სოციალური პროგრამით გაეწიათ დახმარება.

არის ისეთი პრობლემებიც, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მოქალაქისათვის და რომელთა მოგვარება მარტო ძალიან ძნელია. მაგალითად მოქალაქე მაყვალა ჩაკვეტაძეს, (ოჯახის წევრები 4 სული) გორა-საქუსლიის ქუჩაზე 2022 წელს დაეწვა სახლი, მას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რაც უმნიშვნელოვანესი იყო აღნიშნული მოქალაქისთვის, თუმცა ეს დახმარება სახლის სრულ რეაბილიტაციას ვერ უზრუნველყოფდა, ამიტომ ჩემი პირადი ბიუჯეტიდან და ავტოქარხანაში არსებული სკოლების თანამშრომელებისა და მშობლების ქველმოქმედების საფუძველზე დავიწყეთ მაყვალა ჩაკვეტაძისათვის დახმარება რათა მან შეეძლოს ეს ზამთარი საკუთარ სახლში გაატაროს.

აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები სკოლის პედაგოგებთან და მათი მოსაზრებებისა თუ იდეების მოსმენა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან პედაგოგთა ხედვა, მაღალი პასუხისმგებლობა და ახალგაზრდულ პრობლემებთან მუდმივი შემხებლობა მნიშვნელოვანს ხდის მათ მოსაზრებებს.

- ✓ **მნიშვნელოვანი ღონისძიებები:**

- მინდა ავღნიშნო, რომ სულ ახლახანს, სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციისა და ქუთაისში ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა „გიდი“-ს ინიციატივით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ჩართულობითა და თანამონაწილეობით, 25 სექტემბერიდან 13 ოქტომბრამდე ქ. ქუთაისში განხორციელდა შვედური პროექტი, რომელიც მოიცავს საჯარო სკოლებში დაწყებითი კლასის მოსწავლეების სმენის სკრინინგს. შვედეთიდან ჩამოსულმა ჯგუფმა 5 აუდიოლოგის შემადგენლობით ჩაატარა სმენის კვლევა სხვადასხვა საჯარო სკოლებსა და კერძო სკოლებში. გამოკვლეულთაგან ყველაზე მცირე ასაკის იყო 2 თვის და ყველაზე ხანდაზმული 93 წლის. მათ ვისაც აღმოაჩნდა პრობლემა უზრუნველყოფილი იქნენ სასმენი აპარატით. ასევე 6, 7 და 8 ოქტომბერს ინგერ უჰლენმა, კაროლინსკას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ჩაატარა ტრეინინგი ყელ-ყურის-ცხვირის ექიმებისა და სხვადასხვა კლინიკის ნეონატალურ სკრინინგზე მომუშავე მედ.პერსონალისთვის. ასევე კლინიკა „გიდი“ს ბაზაზე აუდიოლოგიური ცენტრის შესაქმნელად მისცემს რჩევებს და მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდებიან.

სკრინინგში მონაწილეობდა 2100 მოსწავლე, აქედან 48-ს დაუფიქსირდა სმენის პრობლემა და საჭიროებდა 1 ან 2 სასმენ აპარატს. ასე რომ 73 ხარისხიანი, ციფრული სასმენი აპარატი უსასყიდლოდ გადაეცათ სწორედ ამ ბავშვებს. ანუ 2,3 % (ევროპის ქვეყნებში 0,5% ია) აღმოჩდა სმენის დარღვევით.

246 მოზრდილს ჩაუტარდა აუდიომეტრიული კვლევა, მათ შორის პედაგოგებს, აქედან 130 პიროვნებას ასევე საჩუქრად გადაეცა 199 სასმენი აპარატი.

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამოქმედო გეგმის ერთ–ერთ პრიორიტეტის, ქუთაისში მცხოვრებ გოგონათა და ქალთა დასაქმებისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ავტოქარხნის ადმიანისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ოკრიბელაშვილი, კოლეჯ "იბერიას" წარმომადგენელი თამარ მანაგაძე, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი ეკა ლეჟავა.

მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ .

წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით იგეგმება დახმარება გაუწიოთ ავტოქარხნის დასახლებაში მცხოვრებ უკრაინიდან ლტოლვილ 60 წელს ზემოთ მოქალაქეებს.

- ✓ **ინფრასტრუქტურა**

ხშირი შეხვედრები მაქვს ავტოქარხნის დასახლების ახალგაზრდობასთან, რაც საშუალებას მაძლევს შევისწავლო მათი მოთხოვნები და აქტიურად ჩავერთო ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში და ახალგაზრდული პრობლემების გადაჭრაში. ახალგაზრდები თვლიან და მეც ვეთანხმები, რომ აუცილებელია გაგრძელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნას, სპორტ დარბაზებისა და სტადიონების გამრავლებას და ახალგაზრდული იდეების განხორციელებისათვის გამოყოფილ სივრცეებს, რათა სტუდენტებმა, მოსწავლეებმა და იმ ახალგაზრდებმა რომლებიც არსად არიან დასაქმებულები მოახდინონ შეხვედრები და ერთმანეთებს გაუზიარონ მათთვის საჭირო და საინტერესო იდეები .

სიხარულით მინდა გაცნობოთ, რომ ავტომშენებლის ქუჩაზე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება. შესაბამისი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ქალაქის მერიას 3 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი [NAT230017212] აქვს გამოცხადებული. აღნიშნული სკვერი იქნება ქალაქის ულამაზესი ადგილი, სადაც სხვადასხვა ასაკის თუ ინტერესის ადამიანები შეიკრიბებიან, ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ მოსაზრებების. ასევე ავტოქარხნის დასახლებისთვის ეს იქნება უდიდესი რეკრეაციული ზონა.

ხარებავას ქუჩაზე სრულდება ახალი საჭიდაო დარბაზი, რომელიც ჩვენი უბნისა და ქალაქის ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს მიიღონ სრულყოფილი მომსახურეობა, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ სპორტის ამ სახეობაში.

დასრულდა ხარებავას ქუჩის №1–ის მიმდებარედ, მინი მოედნისა და მცირე რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის მოწყობა.

მოგეხსენებათ, რომ ავტოქარხნის დასახლებისათვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს სანიაღვრე სისტემა, რაც წინა საუკუნიდან იღებს სათავეს და წლებია კიდევ უფრო უარესდებოდა, რადგან სანიაღვრე არხები მოსახლეობამ ზოგ შემთხვევაში ამოავსო და ზოგ შემთხვევაში შეავიწროვა საკუთარი ეზოსა თუ შენობების გაფართოების მიზნით.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ჩვენი გუნდი პრტია „ქართული ოცნება“ აქტიურად ცდილობს, რაც გამოიხატება შემდეგში: გორა-საქუსლიის დასახლებაში, კოლხეთის ქუჩაზე კეთდება სანიაღვრე არხი, რომელიც მოსახლეობას უსაფრთხოებას შეუქმნის წვიმებისა და წყალდიდობების დროს.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 20.01.2023 წლის №116 განკარგულებით გამოიყო 2000.0 ათ.ლარი. მათ შორის, სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცა 591 ობიექტს: 282 ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობას და 309 კერძო პირს. 1 337,4 ათ.ლარით დაფინანსდა 49 ერთეული დაზიანებული სახურავის შეკეთებითი სამუშაოებზე, რომელიც დასრულებულია.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ავტოქარხმის მაჟორიტარის მთავარი პრიორიტეტები იქნება, იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება, რომელიც აწუხებს ჩვენს მოსახლეობას."

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქე **ლეილა ჭეიშვილი** - „გვესაჭიროება სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება, გვაინტერესებს იგეგმება თუ არა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება"?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** ,,ეს საკითხი, როგორც ზემოდ ავღნიშნე საკმაოდ დიდი ხანია აწუხებს ავტოქარხნის მოსახლეობას და წლების მანძილზე კიდევ უფრო უარესდებოდა, რადგან სანიაღვრე არხები მოსახლეობამ ზოგ შემთხვევაში ამოავსო და ზოგ შემთხვევაში შეავიწროვა საკუთარი ეზოსა თუ შენობების გაფართოების მიზნით. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ჩვენი გუნდი პრტია „ქართული ოცნება" აქტიურად ცდილობს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ პროლემიის მოგვარებისათვის სამუშაოები მიმდინარეობს სხვადასხვა ობიექტებზე, ასევე იგეგმება მუსხელიშვილის და მესხის ქუჩის რეაბილიტაცია".

მოქალაქე **რევაზ ნანიკაშვილი** - ,,ძალიან გვაწუხებს ქუჩის ძაღლების პრობლემა ,იქნებ რამე გამოსავალი არსებობს"?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** ,,თქვენს პრობლემას აუცილებლად ჩავინიშნავ შემდგომი რეაგირებისათვის."

მოსახლეობის მიერ დასმული თითოეული პრობლემა და გამოთქმული წინადადებები ჩანიშნული იქნა შემდგომი რეაგირებისა და შესწავლის მიზნით.

შეხვედრის ბოლოს გაწეული საქმიანობისათვის ბატონ **მიხეილ გიორგაძეს** მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონ მიხეილ გიორგაძის საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთრაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

მიხეილ გიორგაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიხეილ გიორგაძის

2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

(2022 წლის ნოემბერი- 2023 წლის ნოემბერი)

მოგეხსენებათ, რომ 2021 წლის დეკემბრის თვიდან უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა მეშვიდე მოწვევის საკრებულო, ჩემი საკრებულოს წევრად არჩევა მოხდა 2023 წლის 29 აპრილის შუალედური არჩევნების შედეგად (უფლებამოსილება კი ივნისის თვიდან დადგა) ავტოქარხნის ამომრჩეველთა უმრავლესობამ მხარი დამიჭირა, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას თქვენსა და ჩემი გუნდის პარტია ,,ქართული ოცნებისის" წინაშე. საკრებულოს წევრობა და პარტია ,,ქართული ოცნების'' გუნდისგან ნდობის გამოცხადება დიდი პატივია და როგორც ზემოთ აღვნიშნე უდიდესი პასუხისმგებლობა .

ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მე როგორც საკრებულოს წევრს მავალდებულებს წარმოგიდგინოთ ინფორმაცია ჩემი საქმიანობის შესახებ.

თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება კომისიების მიერ საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. შესაბამისად აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის, ასევე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების საქმიანობაში.

- ✓ **საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის 5 (ხუთი) სხდომა. კომისია მონაწილეობდა 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში. კომისია აქტიურადაა ჩართული როგორც კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით სხდასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე საზედამხედველო ფუნქციებიდან გამომდინარე მათ მონიტორინგში. აქვე მინდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი ფუნდამენტი ჩვენი კომისიის მუშაობისა, რომელსაც ჯერ კიდევ შარშან ჩაეყარა საფუძველი და რომელიც კულტურის განვითარების სტრატეგიას გულისხმობს, აქტუალობასა და მნიშვნელობას სძენს ყველა კულტურული ღონისძიების დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის ეფექტური მექანიზმის ამუშავების პროცესს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური მთავრობისა და აგილობრივი ხელისფულების ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილ და შესრულებულ გლობალურ პროექტებს, როგორებიცაა ოლიმპიური სტანდარტების

აუზის მშენებლობა, განახლებული ქუჩები, გამზირები, სკვერები და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, სკოლის მოსწავლეების გათავისუფლება მუნიციპალური ტრანსპორტის გადასახადისაგან.

განათლების მიმართულებით, ყურადსაღებია განსაკუთრებული წარმატებების მქონე ახალგაზრდების წახალისება სტიპენდიით, 12 სტუდენტს წლის განმავლობაში ყოველთვიურად ერიცხება 300 ლარი. ასევე აღსანიშნავია დღემდე განხორციელებული ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა კალიგრაფიის კონკურსი; ინტელექტუალური კონკურსი, როგორც ბრეინ-რინგის, ასევე ჯეპარდის მიმართულებით. საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების 120 წარმატებული მოსწავლისთვის საზაფხულო ბანაკი სამ ნაკადად დაბა ბაკურიანში.

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდული პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ამ მიზნით, ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიყო 130 000 ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდა ათი ინიციტივა, მათ შორის: („სოციალური პლატფორმა სტარტაპერებისთვის; „საზაფხულო კინო სკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის"; „სამოქალაქო თავდაცვა და სიმულაციური სწავლება"; „ახალგაზრდები მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის"; „ციფრული კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდებში"; „გასტრონომიული ფესტივალი და ადგილობრივი მუსიკოსების საღამო"; „გააუმჯობესე შენი მომავალი"; „ახალგაზრდების ინფორმირებულობა ჩართულობის გზით"; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტების მომზადება და სერვისის პილოტირება ქუთაისის მუნიციპალიტეტში"). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 65 000 ლარით დაფინანსდა ზამთრისა და ზაფხულის ლიდერთა სკოლები, სადაც 14-29 წლამდე ასაკის 180-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

უნდა შევეხო ასევე ,,ქუთაისქალაქობა 2023'' ფარგლებში გამართულ სხვადასხვა აქტივობებს, როგორიცაა საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ,,ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2023". მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრების, ფოტოხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეების და კურატორების მონაწილეობით გამართული ღონისძიებები (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა და საბერძნეთი) და ა.შ.

- ✓ **საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია**

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, ჩემი მონაწილეობით საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 2 სხდომა, სადაც განვიხილეთ შემდეგი საკითხები:

- აუტიზმის სპექტრი მქონე და ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ ბენეფიციართა ასაკი გაიზარდა 17 წლამდე;
- ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ პირთა დახმარების ბიუჯეტის ცვლილება, იგი გაიზარდა 50 000 ლარამდე.

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიამ, მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრა გავმართეთ ქალაქში არსებული პოლიკლინიკების ხელმძღვანელებთან, შემუშავდა კითხვარი ბავშვებში პირველადი იმუნოდეფიციტთან დაკავშირებით და ველოდებით სტატისტიკას თუ რამდენი მოზარდია აღრიცხული რათა მოხდეს დახმარება მათთვის საჭირო შემდგომი კვლევების დაფინანსებაში.

- **მოქალაქეებთან შეხვედრები**

გარდა საკრებულოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისა მაქვს ორგანიზებული შეხვედრები მოსახლეობასთან. ასევე ხშირია გასვლები უბნებსა და ბაღებში, სადაც შესაძლებელია მიმდინარე სამუშაოების კონტროლი, ადგილზე მოსახლეობის პრობლემების, მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსმენა. ამ სახის შეხვედრების დროს მოსახლეობა ითხოვს სხვადასხვა სახის დახმარებას და იკვეთება არაერთი პრობლემა.

2023 წელს საანგარიშო პერიოდში მიღებულია 250 მოქალაქე, ისინი მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით. მათი პრობლემის უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად, ნაწილი კი მოგვარების პროცესშია. ყოველთვის ვცდილობ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და ვეძიო გზები მოგვარებისთვის.

მოქალაქეები მოგვმართავენ ფინანსური დახმარების თაობაზე, 8 მოქალაქის მოთხოვნიდან, ხუთზე გაიცა ფინანსური დახმარება, ხოლო 3 მოქალაქეს ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა სოციალური პროგრამით გაეწიათ დახმარება.

არის ისეთი პრობლემებიც, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მოქალაქისათვის და რომელთა მოგვარება მარტო ძალიან ძნელია. მაგალითად მოქალაქე მაყვალა ჩაკვეტაძეს, (ოჯახის წევრები 4 სული) გორა-საქუსლიის ქუჩაზე 2022 წელს დაეწვა სახლი, მას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რაც უმნიშვნელოვანესი იყო აღნიშნული მოქალაქისთვის, თუმცა ეს დახმარება სახლის სრულ რეაბილიტაციას ვერ უზრუნველყოფდა, ამიტომ ჩემი პირადი ბიუჯეტიდან და ავტოქარხანაში არსებული სკოლების თანამშრომელებისა და მშობლების ქველმოქმედების საფუძველზე დავიწყეთ მაყვალა ჩაკვეტაძისათვის დახმარება რათა მან შეეძლოს ეს ზამთარი საკუთარ სახლში გაატაროს.

აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები სკოლის პედაგოგებთან და მათი მოსაზრებებისა თუ იდეების მოსმენა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან პედაგოგთა ხედვა, მაღალი პასუხისმგებლობა და ახალგაზრდულ პრობლემებთან მუდმივი შემხებლობა მნიშვნელოვანს ხდის მათ მოსაზრებებს.

- **მნიშვნელოვანი ღონისძიებები:**

- ✓ მინდა ავღნიშნო, რომ სულ ახლახანს, სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციისა და ქუთაისში ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა „გიდი"-ს ინიციატივით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ჩართულობითა და თანამონაწილეობით, 25 სექტემბერიდან 13 ოქტომბრამდე ქ. ქუთაისში განხორციელდა შვედური პროექტი, რომელიც მოიცავს საჯარო სკოლებში დაწყებითი კლასის მოსწავლეების სმენის სკრინინგს. შვედეთიდან ჩამოსულმა ჯგუფმა 5 აუდიოლოგის შემადგენლობით ჩაატარა სმენის კვლევა სხვადასხვა საჯარო სკოლებსა და კერძო სკოლებში. გამოკვლეულთაგან ყველაზე მცირე ასაკის იყო 2 თვის და ყველაზე ხანდაზმული 93 წლის. მათ ვისაც აღმოაჩნდა პრობლემა უზრუნველყოფილი იქნენ სასმენი აპარატით. ასევე 6, 7 და 8 ოქტომბერს ინგერ უჰლენმა, კაროლინსკას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ჩაატარა ტრეინინგი ყელ-ყურის-ცხვირის ექიმებისა და სხვადასხვა კლინიკის ნეონატალურ სკრინინგზე მომუშავე მედ.პერსონალისთვის. ასევე კლინიკა „გიდი"ს ბაზაზე აუდიოლოგიური ცენტრის შესაქმნელად მისცემს რჩევებს და მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდებიან.

შედეგი:

სკრინინგში მონაწილეობდა 2100 მოსწავლე, აქედან 48-ს დაუფიქსირდა სმენის პრობლემა და საჭიროებდა 1 ან 2 სასმენ აპარატს. ასე რომ 73 ხარისხიანი, ციფრული სასმენი აპარატი უსასყიდლოდ გადაეცათ სწორედ ამ ბავშვებს. ანუ 2,3 % (ევროპის ქვეყნებში 0,5% ია) აღმოჩდა სმენის დარღვევით.

246 მოზრდილს ჩაუტარდა აუდიომეტრიული კვლევა, მათ შორის პედაგოგებს, აქედან 130 პიროვნებას ასევე საჩუქრად გადაეცა 199 სასმენი აპარატი.

- ✓ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამოქმედო გეგმის ერთ–ერთ პრიორიტეტის, ქუთაისში მცხოვრებ გოგონათა და ქალთა დასაქმებისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ავტოქარხნის ადმიანისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ოკრიბელაშვილი, კოლეჯ "იბერიას" წარმომადგენელი თამარ მანაგაძე, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი ეკა ლეჟავა.

მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ .

წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით იგეგმება დახმარება გაუწიოთ ავტოქარხნის დასახლებაში მცხოვრებ უკრაინიდან ლტოლვილ 60 წელს ზემოთ მოქალაქეებს.

- ✓ **ინფრასტრუქტურა**

ხშირი შეხვედრები მაქვს ავტოქარხნის დასახლების ახალგაზრდობასთან, რაც საშუალებას მაძლევს შევისწავლო მათი მოთხოვნები და აქტიურად ჩავერთო ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში და ახალგაზრდული პრობლემების გადაჭრაში. ახალგაზრდები თვლიან და მეც ვეთანხმები, რომ აუცილებელია გაგრძელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნას, სპორტ დარბაზებისა და სტადიონების გამრავლებას და ახალგაზრდული იდეების განხორციელებისათვის გამოყოფილ სივრცეებს, რათა

სტუდენტებმა, მოსწავლეებმა და იმ ახალგაზრდებმა რომლებიც არსად არიან დასაქმებულები მოახდინონ შეხვედრები და ერთმანეთებს გაუზიარონ მათთვის საჭირო და საინტერესო იდეები.

სიხარულით მინდა გაცნობოთ, რომ ავტომშენებლის ქუჩაზე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება. შესაბამისი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ქალაქის მერიას 3 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი [NAT230017212] აქვს გამოცხადებული. აღნიშნული სკვერი იქნება ქალაქის ულამაზესი ადგილი, სადაც სხვადასხვა ასაკის თუ ინტერესის ადამიანები შეიკრიბებიან, ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ მოსაზრებების. ასევე ავტოქარხნის დასახლებისთვის ეს იქნება უდიდესი რეკრეაციული ზონა.

ხარებავას ქუჩაზე სრულდება ახალი საჭიდაო დარბაზი, რომელიც ჩვენი უბნისა და ქალაქის ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს მიიღონ სრულყოფილი მომსახურეობა, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ სპორტის ამ სახეობაში.

დასრულდა ხარებავას ქუჩის №1–ის მიმდებარედ, მინი მოედნისა და მცირე რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის მოწყობა.

მოგეხსენებათ, რომ ავტოქარხნის დასახლებისათვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს სანიაღვრე სისტემა, რაც წინა საუკუნიდან იღებს სათავეს და 90 – 2000 წლებში კიდევ უფრო უარესდებოდა რადგან სანიაღვრე არხები მოსახლეობამ ზოგ შემთხვევაში ამოავსო და ზოგ შემთხვევაში შეავიწროვა საკუთარი ეზოსა თუ შენობების გაფართოების მიზნით.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ჩვენი გუნდი პრტია „ქართული ოცნება“ აქტიურად ცდილობს, რაც გამოიხატება შემდეგში: გორა-საქუსლიის დასახლებაში, კოლხეთის ქუჩაზე კეთდება სანიაღვრე არხი, რომელიც მოსახლეობას უსაფრთხოებას შეუქმნის წვიმებისა და წყალდიდობების დროს.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 20.01.2023 წლის №116 განკარგულებით გამოიყო 2000.0 ათ.ლარი. მათ შორის, სახურავის შესაკეთებელი მასალა გადაეცა 591 ობიექტს: 282 ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობას და 309 კერძო პირს. 1 337,4 ათ.ლარით დაფინანსდა 49 ერთეული დაზიანებული სახურავის შეკეთებითი სამუშაოებზე, რომელიც დასრულებულია.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ავტოქარხმის მაჟორიტარის მთავარი პრიორიტეტები იქნება, იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება, რომელიც აწუხებს ჩვენს მოსახლეობას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

მიხეილ გიორგაძე